



საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო
სსიპ - „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი“

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 72

„18“ ნოემბერი 2013წ.

მ. თბილისი

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის-„ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის“ საკონკურსო-საატესტაციო კომისიის, აღნიშნული კომისიის სამდივნოს და საპრეტენზიო კომისიის შექმნის შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11¹ მუხლის, 36²-ე მუხლის პირველი და 2-ე ნაწილების, 36³-ე მუხლის, საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 05 თებერვლის №46 ბრძანებულებით დამტკიცებული „საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესის“ მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის და მე-8 მუხლის პირველი პუნქტის, „რატი ბრეგამის საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სსიპ-ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის“ საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარედ დანიშნის შესახებ“ სსიპ - „საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2013 წლის 04 ნოემბრის N127/სა ბრძანების, სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის“ საშტატო განრიგისა და სახელფასო ფონდის, თანამშრომელთა მატერიალური წახალისებისათვის გამოსაყოფი სახსრების, აგრეთვე შესაძენი საწვავისა და გასაწევი საკომუნიკაციო ხარჯების ლიმიტების დამტკიცების თაობაზე სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის“ 2013 წლის 18 ნოემბრის №71 ბრძანებისა და საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს 2012 წლის 25 აპრილის N52 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-3 მუხლის 2-ე პუნქტის თ) ქვეპუნქტის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. შეიქმნას:

ა) საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის“ (შემდგომში - ცენტრი) საკონკურსო-საატესტაციო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა.ა) რატი ბრეგაძე - სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის“ უფროსი/საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე;

ა.ბ) ვახტანგ ასანიძე - საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის უფროსის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი/საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

ა.გ) გიორგი მაჭავარიანი - საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი/საკონკურსო-საატესტაციო კომისიის წევრი;

ა.დ) გიორგი ასათიანი - საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სპორტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი/საკონკურსო-საატესტაციო კომისიის წევრი;

ა.ე) დავით ქვრივიშვილი - საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე/საკონკურსო-საატესტაციო კომისიის წევრი;

ბ) ცენტრის საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნო (შემდგომში - სამდივნო) შემდეგი შემადგენლობით:

ბ.ა) სალომე ბერძენი - ცენტრის შტატგარეშე თანამშრომელი, სპეციალისტი „ახალგაზრდული ფესტივალი 2013“-ის ფარგლებში/სამდივნოს უფროსი.

ბ.ბ) ირმა ლაღუა - ცენტრის შტატგარეშე თანამშრომელი, მომავლის ბანაკის ადმინისტრატორი/სამდივნოს წევრი;

ბ.გ) გიორგი ჭანტურია - ცენტრის შტატგარეშე თანამშრომელი, პროგრამა მომავლის ბანაკის მთავარი კოორდინატორი/სამდივნოს წევრი;

გ) ცენტრის საპრეტენზიო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

გ.ა) ნატო გუჯაბიძე - საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი/საპრეტენზიო კომისიის თავმჯდომარე.

გ.ბ) ნანა თხელიძე - საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი/საპრეტენზიო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

გ.გ) დავით დადიანი - საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი/საპრეტენზიო კომისიის წევრი.

გ.დ) თეიმურაზ დუნდუა - საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ახალგაზრდული პროგრამების სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი/საპრეტენზიო კომისიის წევრი.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

ცენტრის უფროსი

რატი ბრეგაძე

